


„გუგლი“ საქართველოში მოქარაქეების გადაადგილების შესახებ მონაცემებს აქვეყნებს



„გუგლი“ საქართველოში მოქარაქეების გადაადგილების შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, კვლევა ეფუძნება მობილური ტერმინალებიდან მიღებულ ინფორმაციას და ის დაეხმარება ჯანდაცვის სექტორს, უკეთ გააანალიზოს, თუ რამდენად ემორჩილებიან მოქარაქეები სოციალური დისტანციის შესანარჩუნებლად დაწესებულ შეზღუდვებს.

„გუგლის“ მონაცემებით, საქართველოს შემთხვევაში 16 თებერვლიდან 29 მარტამდე პერიოდში მოქარაქეთა გადაადგილება მაღაზიებში, კინოთეატრებში, რესტორნებში, კაფეებში, მუზეუმებში და ბიბლიოთეკებში 67 პროცენტით შემცირდა.

ამავე პერიოდში 36 პროცენტით ნაკლები მოქარაქე გადაადგილდებოდა სურსათის მაღაზიებში, ბაზრებსა და აფთიაქებში. 24 პროცენტით ნაკლები მოქარაქე სტუმრობდა ეროვნულ პარკებსა და ბაღებს.

დროის იმავე პერიოდში 53 პროცენტით არის შემცირებული საქართველოს იმ მოქარაქეთა რაოდენობა, რომლებმაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით და რკინიგზით ისარგებლეს. სამუშაო ადგილებზე გადაადგილების მაჩვენებელი 38-ით არის შემცირებული.

ამასთან, როგორც „გუგლის“ კვლევაშია აღნიშნული, მოქალაქეების გადაადგილება 12 პროცენტით არის გაზრდილი მათ საცხოვრებელ უბნებში. „გუგლის“ კვლევა 131 ქვეყანას მოიცავს. როგორც კომპანიაში განმარტავენ, მათ მიერ გავრცელებული მონაცემების სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სიტუაციის შესადარებლად გამოყენება, რეკომენდებული არ არის.

ltv.ge